0001115573472288

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №3ბ-2071-15
N 330310015001009232

25 მარტი, 2016 წელი
ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე - თეა ძიმისტარაშვილი

სხდომის მდივანი - ოთარი ბუკია

აპელანტი (მოპასუხე)-საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
წარმომადგენელი - ნინო ხაჭაპურიძე

მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე)- ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, დირექტორი - ლევან ავალიშვილი
წარმომადგენელი – დავით მაისურაძე

დავის საგანი- ქმედების განხორციელების დავალება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:
გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების

განვითარების ინსტიტუტის სარჩელი დაკმაყოფილდა; დაევალა მოპასუხეს - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2015 წლის 10 მარტის №OPD 03/15-004 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის, გარდა ამავე წერილის მე-10 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:
უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2015 წლის 10 მარტს №OPD03/15-004 განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის სახით შემდეგი ინფორმაციის გაცემა: 1. 2014 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით; 2. 2014 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით; 3. 2014 წელს თანამშრომლებზე (საერთო რაოდენობა) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით; 4. 2014 წელს თანამშრომლებზე (საერთო რაოდენობა) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით; 5. 2014 წელს მინისტრის მოადგილეებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების ასლები; 6. 2014 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროისა და ადგილის მითითებით); 7. 2014 წელს თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ ე.წ. "როუმინგულ" მომსახურებაზე გაწეული ხარჯები; 8. 2014 წელს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით; 9. 2014 წელს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვის სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით; 10. 2015 წლის უწყების ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები. 11. 2014 წელს შესყიდული ავტომობილების ჩამონათვალი (ავტომობილის მოდელის, ავტომობილის გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის და შესყიდვის ფასის მითითებით); 12. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა, რომელიც 2014 წელს სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით); 13. 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი და შესრულებული

პროექტების ჩამონათვალი, თითოეულზე გამოყოფილი და ათვისებული თანხის მითითებით; 14. 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროექტების წარმატების შეფასების ინდიკატორები (არსებობის შემთვევაში) და მიღებული შედეგები; 15. 2014 წელს განხორციელებული აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტები; 16.2014 წელს გათავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა გათავისუფლების მიზეზების მიხედვით; 17. 2013-2014 წლებში დასაქმებული და გათავისუფლებული თანამდებობის პირების სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ ინფორმაცია.

2.2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხრიდან არ იქნა გაცემული ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2015 წლის 10 მარტს №OPD03/15-004 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, რაც ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გასაჩივრდა.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:
სასამართლომ განმარტა შემდეგი:

2.3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რეალაქტის განუხორციელებლობით, დაინტერესებული პირის სუბიექტური უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, კერძოდ, განმცხადებელს უფლება აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე სარჩელი შეიტანოს სასამართლოში, ქმედების განხორციელების მოთხოვნით, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემას. სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელი წარმოადგენს მავალდებულებელი სარჩელის ერთ-ერთ სახეს, რომლის მიზანია ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის მიზანია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის, მის მიერ 2015 წლის 10 მარტის №OPD03/15-004 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის, გარდა ამავე წერილის მე-10 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციისა, გაცემის დავალება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას. ხსენებული მუხლის შესაბამისად, პიროვნებას აქვს იდეების და ცნობების მიღების უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებს, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას – გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას თუ მოთხოვილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა, ხოლო ამავე კოდექსის მეორე მუხლის "მ" ქვეპუნქტით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის დეფინიციის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის ღიაობა ორ შემთხვევაშია შეზღუდული - როცა ეს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული და როცა დადგენილი წესით იგი მიეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას.

ამავე კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

2.4. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2015 წლის 10 მარტის №OPD03/15-004 განცხადების პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები შეეხებოდა 2014 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე (სახელის და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიებისა და სახელფასო დანამატების ოდენობას, თვეების მიხედვით, ასევე სამართლებრივი აქტების ასლების გადაცემას. მე-17 პუნქტი კი შეეხებოდა 2013-2014 წლებში დასაქმებული და გათავისუფლებული თანამდებობის პირების სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ ინფორმაციას. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია არ გასცა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო ინფორმაციის არ გაცემა არ შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით დადგენილ სტანდარტს. აღსანიშნავია, რომ თანამდებობის პირზე დარიცხულ პრემიას/დანამატს, პრემია/დანამატის გაცემის საფუძველს - სამართლებრივ აქტებს, ასევე თანამდებობის პირთა სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციას, თავად ამ პირის პერსონალური მონაცემების მითითებით გააჩნია საჯარო ინფორმაციის მახასიათებლები და დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში იგი უნდა გაიცეს იმ ფორმით, როგორადაც მას განმცხადებელი მოითხოვს.

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2015 წლის 10 მარტის №OPD03/15-004 განცხადების მე-3 და მე-4 პუნქტები შეეხებოდა თანამშრომლებზე (საერთო რაოდენობა) დარიცხული პრემიებისა და სახელფასო დანამატების ოდენობას, თვეების მიხედვით, ხოლო ამავე განცხადების მე-16 პუნქტი კი შეეხებოდა 2014 წელს

გათავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობის მითითებას, გათავისუფლების მიზეზების მიხედვით. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია არ გასცა. სასამართლომ ჩათვალა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ამგვარი ინფორმაცია გასცეს პერსონალური მონაცემების გამჟღავნების გარეშე.

2015 წლის 10 მარტს წარდგენილი განცხადების მე-6 პუნქტით ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მოითხოვდა სამინისტროს ეცნობებინა 2014 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების ოდენობა (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროისა და ადგილის მითითებით), ამავე განცხადების მე-7 პუნქტის კი მოსარჩელე მოითხოვდა 2014 წელს თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ ე.წ. "როუმინგულ" მომსახურებაზე გაწეული ხარჯების გადაცემას, ხოლო მე-8 პუნქტით 2014 წელს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაციას (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა; ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით.

განცხადების მე-9, მე-11 და მე-12 პუნქტები შეეხებოდა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების პროცედურის, სახეობების, მოცულობის, ჩანაცვლებული ტექნიკის თაობაზე და სხვა ინფორმაციის საჯაროობას, ხოლო მე-13, მე-14 პუნქტებით კი მოთხოვნილი იყო 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი და შესრულებული პროექტების ჩამონათვალი, თითოეულზე გამოყოფილი და ათვისებული თანხის მითითებით; 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროექტების წარმატების შეფასების ინდიკატორები (არსებობის შემთვევაში) და მიღებული შედეგების თაობაზე ინფორმაციის საჯაროობა, მე-15 პუნქტი შეეხებოდა 2014 წელს განხორციელებული აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტების გაცემას.

სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ მოპასუხის მიერ არ ყოფილა გაცემული აღნიშნული ინფორმაცია. სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ვალდებულია აღნიშნული განცხადების მე-9, მე-11, მე-12 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია გასცეს იმ მოცულობით, რომ არ მოახდინოს კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გაცემა, ხოლო მე-15 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა გაიცეს პერსონალური მონაცემების გამჟღავნების გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს გააჩნია ლეგიტიმური მიზანი მიიღოს 2015 წლის 10 მარტის OPD03/15-004 განცხადების პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-11, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-

16 და მე-17 პუნქტებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, რომლებიც არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

2.5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33[1]-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

სასამართლომ, ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უნდა დაევალოს გასცეს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2015 წლის 10 მარტის №OPD03/15-004 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია (იმ მოცულობით, რომ არ მოახდინოს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის, ასევე პერსონალური მონაცემების გაცემა), გარდა ამავე წერილის მე-10 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციისა.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები:

3.1. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე რსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ" ქვეპუნქტის შესაბამისად საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია ; საჯარო ინფორმაციას არ წარმოადგენს ინფორმაცია, რომელიც მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, პროფესიულ კომერციულ ან სახელმწიფო საიდუმლოებას.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ

უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

კონსტიტუციით დაცული პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით 2012 წელს მიღებული იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის მიზანია კონსტიტუციით დაცული პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით 2012 წელს მიღებული იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის მიზანია პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად პერსონალურ მონაცემებს მიეკუთვნება ნებისმიერი ინფორმაცია , რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, რდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

3.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის შესაბამისად საჯარო ინფორმაცია ღია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის, თუმცა აღნიშნული მუხლი მიუთითებს, რომ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია თუკი ხელმისაწვდომობის მოთხოვნა შეეხება პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

თანამდებობის პირთა ფინანსური მდგომარეობის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი დეკლარაციის წარდგენა შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის მოთხოვნებს შემდეგ გარემოებათა გამო:დეკლარაციის წარდგენისას სახეზეა თანამდებობის პირი თანხმობა, საჯარო სამსახურის ბიუროს მიეწოდოს მისი პერსონალური მონაცემები (თანხმობის აუცილებლობას ითვალისწინებს როგორც კონსტიტუციის 41-ე მუხლი, ასევე ზაკ-ის 44-ე მუხლი); დეკლარაციის წარდგენისას სახეზეა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული ქმედება - ერთი მხრივ, თანამდებობის პირის მიერ დეკლარაციის წარდგენის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ამ დეკლარაციის გასაჯაროების შესახებ- ანუ კანონი პირდაპირ განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ბიუროს უფლებამოსილებას, დადგენილი წესითა და მოცულობით გაასაჯაროოს თანამდებობის პირის კონკრეტული მონაცემები (და არა ყველა სახის პერსონალური მონაცემი. მთავარი ის არის, რომ ბიუროს უფლებამოსილება განსაზღვრულია პირდაპირ კანონით და დადგენილია ამის განხორციელების წესი.

სამართლებრივი აქტების ასლები; 6. 2014 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროისა და ადგილის მითითებით); 7. 2014 წელს თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ ე.წ. "როუმინგულ" მომსახურებაზე გაწეული ხარჯები; 8. 2014 წელს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით; 9. 2014 წელს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვის სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით; 10. 2015 წლის უწყების ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები. 11. 2014 წელს შესყიდული ავტომობილების ჩამონათვალი (ავტომობილის მოდელის, ავტომობილის გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის და შესყიდვის ფასის მითითებით); 12. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა, რომელიც 2014 წელს სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით); 13. 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი და შესრულებული პროექტების ჩამონათვალი, თითოეულზე გამოყოფილი და ათვისებული **თანხის** მითითებით; 14. 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროექტების წარმატების შეფასების ინდიკატორები (არსებობის შემთვევაში) და მიღებული შედეგები; 15. 2014 წელს განხორციელებული აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტები; 16.2014 წელს გათავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა გათავისუფლების მიზეზების მიხედვით; 17. 2013-2014 წლებში დასაქმებული და გათავისუფლებული თანამდებობის პირების სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ ინფორმაცია. (ტომი 1, ს.ფ 14-15)

4.2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხრიდან არ იქნა გაცემული ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2015 წლის 10 მარტს №OPD03/15-004 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, რაც ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გასაჩივრდა. (ტომი 1, ს.ფ 17-22)

სამართლებრივი დასაბუთება

4.3. სააპელაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი **განვითარების** სამინისტროს მიერ იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სასარჩელო **მოთხოვნა,**

ხოლო გადაწყვეტილება სარჩელის არ დაკმაყოფილების ნაწილში ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

4.4. "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით ან პრესის და გამოხატვის მხატვრული საშუალებებით ან საკუთარი არჩევანით სხვა საშუალებებით. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას. მითითებული მუხლის შესაბამისად, პიროვნებას აქვს იდეებისა და ცნობების მიღების უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებს, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას - გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტისაგან განსხვავებით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დაცვის სუბიექტი არის პირი, რომლის კერძო სფეროს მიკუთვნებული მონაცემებიც დაცულია ოფიციალურ წყაროებში. ამდენად, ამ პუნქტით დაცული სიკეთე არის პირის კერძო სფეროს ხელშეუხებლობა, რაც გულისხმობს პირის უფლებას, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული, მის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამხელისაგან იყოს დაცული. პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია.

4.5. საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით (ინფორმაციის თავისუფლება). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი შეესაბამება კონსტიტუციურ ნორმას, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

4.6. დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. კერძოდ, დადგენილია, რომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2015 წლის 10 მარტის №OPD03/15-004 განცხადების პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები შეეხებოდა 2014 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე (სახელის და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიებისა და სახელფასო დანამატების ოდენობას, თვეების მიხედვით, ასევე სამართლებრივი აქტების ასლების გადაცემას. მე-17 პუნქტი კი შეეხებოდა 2013-2014 წლებში დასაქმებული და გათავისუფლებული თანამდებობის პირების სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ ინფორმაციას. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია არ გასცა.

4.7. სააპელაციო პალატა ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო შემთხვევაში, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით დადგენილი საჯარო ინფორმაციის გაცემის სტანდარტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის პირველ პუნქტის მიხედვით ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ამავე საკანონმდებლო აქტის 27[1]-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები **წესრიგდება** „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, **რომლის მე-2** მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, ხოლო იდენტიფიცირებადია პირი, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით, ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

4.8. პალატა მიუთითებს „„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ" ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემების დამუშავება ასევე მოიცავს მონაცემთა გამჟღავნებას მათი გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით. ამავე საკანონმდებლო აქტის მე-5 მუხლის „ბ", „ე" და „ზ" ქვეპუნქტების მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ ეს გათვალისწინებულია კანონით, თუ აუცილებელია მესამე პირის კანონიერი ინტერესების ან მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად.

4.9. აქვე, სააპელაციო სასამართლო მიუთითებს ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალურ მონაცემთა გარდა.

4.10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განმარტა, (2016 წლის 7 აპრილის განჩინება საქმე №ბს-425-418(კ-15)) რომ საჯარო პირების მონაცემთა დაცვის რეჟიმი განსხვავდება სხვა პირების სამართლებრივი დაცვის რეჟიმისაგან. თანამდებობის პირთან დაკავშირებით პირადი სფეროს შემცველი ინფორმაციის საჯაროობა ემსახურება იმ მიზანს, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაციის გამჭირვალობა. ამდენად, მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, თანამდებობის პირის მონაცემები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად ღიაა. სზაკ-ის 27-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების" თავის მიზნებისათვის თანამდებობის პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, როგორც მმართველობის სფეროში მონაცემთა დაცვის სპეციალური კანონი, თანამდებობის პირთა მიმართ შეიცავს სპეციალურ რეგულაციას, თანამდებობის პირთა მიმართ პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტი განსხვავებულია.

4.11. ზემოთ აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, საქალაქო სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ თანამდებობის პირზე დარიცხულ პრემიას/დანამატს, პრემია/დანამატის გაცემის საფუძველს - სამართლებრივ აქტებს, ასევე თანამდებობის პირთა სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციას, თავად ამ პირის პერსონალური მონაცემების მითითებით გააჩნია საჯარო ინფორმაციის მახასიათებლები და დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში იგი უნდა გაიცეს იმ ფორმით, როგორადაც მას განმცხადებელი მოითხოვს.

4.12. ასევე დადგენილია, რომ 2015 წლის 10 მარტის განცხადების მე-6 პუნქტით ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მოითხოვდა სამინისტროს ეცნობებინა 2014 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების ოდენობა (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროისა და ადგილის მითითებით), ამავე განცხადების მე-7 პუნქტის კი მოსარჩელე მოითხოვდა 2014 წელს თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ ე.წ. "როუმინგულ" მომსახურებაზე გაწეული ხარჯების გადაცემას, ხოლო მე-8 პუნქტით 2014 წელს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაციას (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა; ხარჯვითი

კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით.

4.13. განცხადების მე-9, მე-11 და მე-12 პუნქტები შეეხებოდა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების პროცედურის, სახეობების, მოცულობის, ჩანაცვლებული ტექნიკის თაობაზე და სხვა ინფორმაციის საჯაროობას, ხოლო მე-13, მე-14 პუნქტებით კი მოთხოვნილი იყო 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი და შესრულებული პროექტების ჩამონათვალი, თითოეულზე გამოყოფილი და ათვისებული თანხის მითითებით; 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროექტების წარმატების შეფასების ინდიკატორები (არსებობის შემთვევაში) და მიღებული შედეგების თაობაზე ინფორმაციის საჯაროობა, მე-15 პუნქტი შეეხებოდა 2014 წელს განხორციელებული აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტების გაცემას.

4.14. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მიხედვით კანონის ერთ-ერთი მიზანი და ფუძემდებლური პრინციპი სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფაა (მუხ. 2, „დ" ქვეპუნქტი), საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად საბიუჯეტო პროცესის ძირითადი პრინციპი - გამჭირვალობაა, რომელიც გულისხმობს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის გამოქვეყნებას, ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომია ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის), ანგარიშგება და კონტროლი საბიუჯეტო პროცესის განუყოფელი ნაწილია (მე-5 მუხ.), ზაკ-ის 42-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად,ყველას აქვს უფლება იცოდეს: საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები.

4.15. ზემოთ აღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად დაავალდებულა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გასცეს აღნიშნული განცხადების მე-9, მე-11, მე-12 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია იმ მოცულობით, რომ არ მოახდინოს კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გაცემა, ასევე, განცხადების მე-15 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ 2014 წელს განხორციელებული აუდიტორული შემოწმების ამსახველი აქტების გაცემაზე.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

5.1. ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივრით ვერ იქნა გაბათილებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნები სარჩელის

დაკმაყოფილების შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

6. საპროცესო ხარჯები

6.1. აპელანტი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ" ქვეპუნქტის შესაბამისად, განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი

იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 390-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება;

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში.

მოსამართლე **თეა ძიმისტარაშვილი**

ასლი დედანთან სწორია
ბ. ...ის საააელაციო სასამართლოს
...ისტრაციულ საქმეთა პალატა
11 ... 2016 წ.